ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის
სხდომის ოქმი N 21

21 თებერვალი, 2019 წელი ქ. თბილისი, 12:00 საათი

თავისუფლების მოედანი N 2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თ. ტალიაშვილი, ა. ლაშხი, მ. დარჩია, ე. კუხიანიძე, ვ. ძნელაძე, გ. გოცირიძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

1. გიორგი ტყემალაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
2. გიორგი ჩაკვეტაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. ჯაბა ჯიშკარიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. ნინო ლაცაბიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. თინათინ ნიბლოშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. დავით უთმელიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
7. ლევან ჟორჟოლიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
8. ირაკლი ზარქუა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
9. სალომე მეზურნიშვილი - „ადამიანის უფლებების განვითარების ფონდის“ წარმომადგენელი;
10. თამარ თოლორაია - საგანმანათლებლო პროგრამის „მენტალური არითმეტიკული სისტემის უნივერსალური კონცეფცია“ (UCMAS) წარმომადგენელი;
11. სოფიო ბოჩოიძე - საგანმანათლებლო პროგრამის „მენტალური არითმეტიკული სისტემის უნივერსალური კონცეფცია“ (UCMAS) წარმომადგენელი.

მოწვეული პირები:

კახაბერ გვანცელაძე - ა(ა)იპ ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორი;

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თამარ ტალიაშვილი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე

გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 ოქტომბრის N25-101 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" დადგენილების პროექტის ინიცირება.

მომხსენებელი: ქალბატონი თამარ ტალიაშვილი

თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე;

2. **საკითხი:** ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს წლიური ანგარიშის განხილვა;

მომხსენებელი: ბატონი კახაბერ გვანცელაძე

თანამდებობა: ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორი.

სხდომის თავმჯდომარე ქალბატონი თამარ ტალიაშვილი მიესალმა სხდომის მონაწილეებს, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, წარმოადგინა დღის წესრიგი, რომელიც განათლებისა და კულტურის კომისიის წევრებმა მოიწონეს და ერთხმად დაამტკიცეს.

მოისმინეს:

1. დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა. დეპუტატის განმარტებით, კომისია გაფართოებულ სხდომაზე, რომელსაც საკრებულოს დეპუტატებთან ერთად არასამთავრობო სექტორის და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებიან, იმსჯელებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 ოქტომბრის N25-101 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" დადგენილების პროექტის ინიცირების თაობაზე.

როგორც განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, 2015 წლამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს არ გააჩნდა თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებში აღსაზრდელთა რეგისტრაციის ერთიანი მარეგულირებელი წესი, რაც პროცესს დახურულს, ბუნდოვანსა და მოუწესრიგებელს ხდიდა. ხარვეზის აღმოსაფხვრელად,

გამჭვირვალობისა და საჯაროობისთვის, 2015 წელს ქალაქ თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის და მერიის შესაბამისი სამსახურების თანამშრომლობით შემუშავდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესი“, რომლის საფუძველზე დღეს ხორციელდება ბავშვების დარეგისტრირება თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებში.

განათლებისა და კულტურის კომისიის ინიციატივით, რომლის თანახმად, 2015 წლის ივლისიდან 2017-2018 სასწავლო-სააღმზრდელო წლის ჩათვლით, აღნიშნული წესის მე-9 მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული რეგისტრაციის უპირატესობით, ასევე სარგებლობდნენ ბავშვები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებიდან.

ქალბატონი თამარ ტალიაშვილის ინფორმაციით, კომისიამ არაერთხელ იმსჯელა აღნიშნულ წესზე და მასში მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირთა საკითხზე, კომისიის სამუშაო შეხვედრებსა თუ სხდომებზე, ასევე, NDI-სთან თანამშრომლობით, საკრებულოს აპარატის თანამშრომლებმა მოამზადეს გენდერული ზეგავლენის ანალიზის დოკუმენტი (GIA). კომისიის თავმჯდომარის აღნიშვნით, საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება (№79/№01-18/ნ 2015 წლის 16 ივნისი ქ. თბილისი) განსაზღვრავს აღნიშნული სტატუსის მინიჭების თუ გაუქმების პირობებსა და გარემოებებს. დეპუტატის თქმით, მოცემული დროისთვის საქართველოში, 2320 მარტოხელა მშობელია რეგისტრირებული, რომელთა უმრავლესობა დედები არიან, შესაბამისად, საკითხი დაკავშირებულია ქალთა უფლებების დაცვასთან. დეპუტატმა ასევე აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომას ესწრება ქალბატონი სალომე მეზურნიშვილი, რომელმაც წერილობით მომართა კომისიას, მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირთა საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, დღის წესრიგის პირველი საკითხი სოციალური და მორალური პასუხისმგებლობის მქონე მშობლების მხარდაჭერას ეხება, შესაბამისად, განათლებისა და კულტურის კომისია საკითხზე მსჯელობისა და განხილვის შედეგად ოფიციალურად აყენებს ინიციატივას, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე“ (ვებგვერდი სსმ. 06/10/2015; სარეგისტრაციო კოდი

010250050.35.101.016214) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 ოქტომბრის N25-101 დადგენილებით დამტკიცებულ წესში შევიდეს ცვლილება და მე-9 მუხლის მე-10 პუნქტს დაემატოს „ე“ ქვეპუნქტი შემდეგი შინაარსით:

„ე) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1191[1]-ე მუხლით გათვალისწინებული მარტოხელა მშობლის (მარტოხელა დედის ან მარტოხელა მამის) სტატუსის მქონე პირის შვილი (შვილები)“.

კომისიის თავმჯდომარემ ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორს, ბატონ კახაბერ გვანცელაძესა და სხდომის მონაწილეებს მიმართა თხოვნით, პოზიცია გამოეხატათ დაყენებული ინიციატივის მიმართ.

საკრებულოს წევრმა, ბატონმა ირაკლი ზარქუამ, მადლობა გადაუხადა განათლებისა და კულტურის კომისიას მიმდინარე სხდომაზე მოწვევისთვის. დეპუტატი დაინტერესდა მარტოხელა მშობლის სტატუსის განსაზღვრებით, თუ ვინ ითვლება მარტოხელა მშობლად. ასევე, ენიჭება თუ არა სტატუსი ქორწინებაში მყოფ პირს გაყრის შემდეგ.

პასუხად კომისიის თავმდჯომარემ აღნიშნა, რომ „მარტოხელა მშობლის სტატუსის დადგენისა და შესაბამის პირთა შესახებ მონაცემების წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 16 ივნისის ერთობლივი ბრძანების (№79/№01-18/ნ 2015 წლის 16 ივნისი ქ. თბილისი) 2018 წლის რედაქცია უშუალოდ განსაზღვრავს მარტოხელა მშობლის სტატუსის მინიჭებისა და გაუქმების გარემოებებს. ხსენებული წესის შესაბამისად, მარტოხელა მშობლის სტატუსის მინიჭება ხდება მშობლის განცხადების საფუძველზე და აუცილებელი წინაპირობაა, რომ ბავშვის მშობლად ირიცხებოდეს მხოლოდ ერთი მშობელი. ასევე, კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, ქორწინებაში მყოფი პირების გაყრა არ წარმოადგენს ერთ-ერთისთვის მარტოხელა მშობლის სტატუსის მინიჭების წინაპირობას. ამგვარი წინაპირობაა ბავშვის დაბადებისას მისი დაბადების მოწმობაში მხოლოდ ერთი მშობლის მონაცემების შეტანა.

სიტყვა გადაეცა „ადამიანის უფლებების განვითარების ფონდის“ წარმომადგენელს, ქალბატონ სალომე მეზურნიშვილს. მისი თქმით, აღნიშნული ფონდი 2016 წლიდან ახორციელებდა პროექტს „მარტოხელა მშობლების უფლებების ადვოკატირება“, რომლის ფარგლებში, ორგანიზაციამ შეისწავლა მარტოხელა მშობლების სტატუსთან დაკავშირებული კანონმდებლობა და პრაქტიკა, მათ შორის, საერთაშორისო გამოცდილება. მისი თქმით, მარტოხელა მშობლის სტატუსის კრიტერიუმები, თუ ვინ შეიძლება იყოს მარტოხელა დედა ან მარტოხელა მამა, გაწერილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1191[1]-ე მუხლით. ამ ნორმის შესაბამისად, მარტოხელა დედა არის ის პირი, ვინც არარეგისტრირებულ ქორწინებაში გააჩენს ბავშვს და ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში არ მიეთითება მამის მონაცემები. მარტოხელა მამად კი ითვლება - მამაკაცი, რომელსაც ჰყავს არარეგისტრირებული ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვი, თუ მისი დაბადების სააქტო ჩანაწერში არაა ჩანაწერი დედის შესახებ.

ქალბატონი სალომე მეზურნიშვილის განმარტებით, მარტოხელა მშობლის სტატუსის მინიჭების კრიტერიუმების განხილვა ამჟამად მიმდინარეობს საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, სადაც სარჩელი „ადამიანის უფლებების განვითარების ფონდმა“ წარადგინა. მისივე განმარტებით, ფონდმა შეისწავლა მარტოხელა მშობლის სტატუსის მატარებელთა სტატისტიკა და გამოარკვია, რომ მარტოხელა მამების რაოდენობა საკმაოდ ბევრია. ქალბატონი სალომე მეზურნიშვილის თქმით, „ადამიანის უფლებების განვითარების ფონდმა“ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან“ გამოითხოვა სტატისტიკური ინფორმაცია - სამშობიაროებიდან, რამდენი სამედიცინო ფურცელია სააგენტოსათვის გადაგზავნილი, რომლებშიც არ ფიგურირებს ბავშვის დედის მონაცემები. სულ დადგინდა 30 ამგვარი ცნობის არსებობა, როდესაც ქალბატონებს სამშობიაროში თან არ ჰქონდათ მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტები, რომლებიც მოგვიანებით წარედგინეს „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში“, რამაც სრულად გამორიცხა მარტოხელა მამის სტატუსის მინიჭება ახალშობილთა მამებისთვის.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია ძალიან საინტერესოა და მიესალმება ხსენებული კრიტერიუმების დახვეწას, თუმცა ფაქტობრივი სტატისტიკა, ცალსახად ადასტურებს, რომ მსოფლიოს მასშტაბით, მარტოხელა მშობლის სტატუსს მეტწილად დედები ატარებენ.

საკრებულოს წევრმა, ქალბატონმა ნინო ლაცაბიძემ მადლობა გადაუხადა კომისიას მიმდინარე შეხვედრის ორგანიზებისთვის და აღნიშნა, რომ იგი მრავალშვილიანი დედაა და ვინაიდან საქართველოს პარლამენტმა ოთხშვილიანი ოჯახი მრავალშვილიან ოჯახად მიიჩნია, მიზანშეწონილი იქნებოდა აღნიშნული ოჯახების ბავშვებიც უპირატესი წესით ირიცხებოდნენ საბავშო ბაგა-ბაღებში. შესაბამისად, დააყენა ინიციატივა, რომ საბავშვო ბაგა-ბაღებში უპირატესი ჩარიცხვის უფლება მიენიჭოთ აგრეთვე მრავალშვილიანი ოჯახების შვილებსაც.

ქალბატონი თამარ ტალიაშვილი გამოეხმაურა ქალბატონი ნინო ლაცაბიძის ინიციატივას და აღნიშნა, რომ თბილისის საჯარო ბაგა-ბაღებში აღსაზრდელთა რეგისტრაციის მოქმედი წესის მე-9 მუხლის მე-10 პუნქტის „დ“ პუნქტით უპირატესი რეგისტრაციის უფლება ენიჭებათ იმ ოჯახის ბავშვებს, რომელთა შვილი (შვილები) სარგებლობენ იმავე სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების მომსახურებით. აქედან გამომდინარე, თუ ოჯახის რომელიმე შვილი კონკრეტულ ბაღში ირიცხება მისი და ან ძმა, პირველივე რეგისტრაციის ეტაპზე ჩაირიცხება საბავშვო ბაგა-ბაღში.

ქალაბატონმა ნინო ლაცაბიძემ განმარტა, რომ აღნიშნული მუხლი შეღავათს ვერ მისცემს იმ მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთა უფროსი შვილები უკვე სკოლაში დადიან, ხოლო უმცროსი შვილი ბაღის ასაკშია. მანვე, დამატებით აღნიშნა, რომ აქამდე დადგენილი არ იყო მრავალშვილიანი ოჯახის სტატუსი, თუმცა რადგან იგი პარლამენტმა

განსაზღვრა, მიზანშეწონილია მათ პრიორიტეტულად ისარგებლონ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების სერვისებით.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მრავალშვილიანი მშობლების შვილებისთვის საბავშვო ბაგა-ბაღებში უპირატესი ჩარიცხვის უფლებით სარგებლობის საკითხი შეიძლება დაუკავშირდეს ოჯახების სოციალურ მდგომარეობასაც და ერთობლიობაში იქნეს განხილული, შესაბამისად, სთხოვა აზრი დაეფიქსირებინა თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელს, ბატონ კახაბერ გვანცელაძეს.

ბატონი კახაბერ გვანცელაძე მიესალმა სხდომის მონაწილეებს და აღნიშნა, რომ სააგენტო გეგმავს, უფრო ფართოდ განიხილოს უპირატესი რეგისტრაციის მქონე ჯგუფები და მიმდინარე წლის გაზაფხულზე წარადგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარის თქმით, საკითხი საჭიროებს დეტალურ შესწავლასა და შემდგომ განხილვას. დეპუტატმა კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა ქალბატონ სალომე მეზურნიშვილს კომისიასთან თანამშრომლობისა და მიმდინარე სხდომაზე დასწრებისთვის.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

თამარ ტალიაშვილმა, ირაკლი ზარქუამ, სალომე მეზურნიშვილმა, ნინო ლაცაბიძემ, კახაბერ გვანცელაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული **სკოლამდელი** აღზრდის **საჯარო** დაწესებულებების **ერთ** ბავშვზე/აღსაზრდელზე **გათვლილი** ვაუჩერით **დაფინანსების, სასკოლო** მზაობის **საგანმანათლებლო** სახელმწიფო **სტანდარტის** დანერგვის, **მუნიციპალიტეტის** მართვაში **არსებული** სკოლამდელი **აღზრდის** საჯარო **დაწესებულებებში** ბავშვის/აღსაზრდელის **რეგისტრაციისა** და **მიღება-ამორიცხვის** წესის **დამტკიცების** თაობაზე“ (ვებგვერდი სსმ. 06/10/2015; **სარეგისტრაციო** კოდი 010250050.35.101.016214) **ქალაქ** თბილისის **მუნიციპალიტეტის** საკრებულოს 2015 **წლის** 2 ოქტომბრის N25-101 **დადგენილებით** **დამტკიცებულ** **წესში** ცვლილების **შეტანის** **შესახებ“** ქალაქ **თბილისის** **მუნიციპალიტეტის** **საკრებულოს** **დადგენილების** **პროექტის** **ინიცირებისა** **და** **დადგენილების** **მე-9** **მუხლის** **მე-10** **პუნქტში** **შემდეგი** **შინაარსის** **„ე“** **ქვეპუნქტის** **დამატების** **თაობაზე:**

„ე) **საქართველოს** **სამოქალაქო** **კოდექსის** 1191[1]-ე **მუხლით** **გათვალისწინებული** **მარტოხელა** **მშობლის** (**მარტოხელა** **დედის** **ან** **მარტოხელა** **მამის**) **სტატუსის** **მქონე** **პირის** **შვილი** (**შვილები**)“.

მომხრე _____ 6
წინააღმდეგი _____ 0
თავიშეიკავა _____ 0

განათლებისა და კულტურის კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ინიცირების წესით წარედგინოს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე“ (ვებგვერდი სსმ. 06/10/2015; სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.101.016214) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 ოქტომბრის N25-101 დადგენილებით დამტკიცებულ წესში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

2. კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა წარმოადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი და აღნიშნა, რომ ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს წლიურ ანგარიშს სააგენტოს დირექტორი, ბატონი კახაბერ გვანცელაძე წარმოადგენდა. ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა სხდომის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ სხდომის დაწყებამდე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან, ბატონ გიორგი ტყემალაძესთან ერთად, შეხვდა საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელს, ბატონ ღასან ხალილს. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ გაეროს ბავშვთა ფონდი ატარებს კვლევას საქართველოში წყლის ხარისხისა და ჰაერში ტყვიის შემცველობის დონის დადგენისთვის. დეპუტატის თქმით, შეხვედრაზე იმსჯელეს ქალაქ თბილისის პოტენციალზე გახდეს „ბავშვებისადმი კეთილგანწყობილი ქალაქების ასოციაციის“ წევრი.

სხდომის თავმჯდომარის თქმით, 2014 წლის შემდეგ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებში ფუნდამეტური რეფორმები გატარდა, აშენდა ათეულობით ახალი საბავშვო ბაგა-ბაღი, შედეგად, გაუმჯობესდა სერვისის სტანდარტი და 62 000-მდე აღსაზრდელს ემსახურება. დეპუტატის თქმით, თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის ინიციატივით, ბაღებს დაემატა ფსიქოლოგების, ლოგოპედებისა და სპეც-პედაგოგების შტატები და ინკლუზიურ განათლებას წამყვანი როლი მიენიჭა. კომისიის

თავმჯდომარის თქმით, ერთ-ერთ გამოწვევად რჩება ბაგა-ბაღების პერსონალისთვის ღირსეული ანაზღაურების საკითხი.

კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ბატონ კახაბერ გვანცელაძეს ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს წლიური ანგარიშის წარმოდგენისთვის.

ბატონმა კახაბერ გვანცელაძემ, ანგარიში დაიწყო ინფრასტრუქტურული პროექტებით. მისი თქმით, სტანდარტი, რომლის მიხედვითაც ბაგაში, 2-დან 3 წლამდე ასაკის ჯგუფებში, უნდა ირიცხებოდეს 25 ბავშვი, ხოლო უფროსი ასაკის ჯგუფებში - 35 აღსაზრდელი, ჯერ-ჯერობით მიუღწეველია. შესაბამისად, სააგენტო გეგმავს გრძელვადიანი გეგმის განხორციელებით, 2024 წელს დააკმაყოფილოს ხსენებული სტანდარტი ახალი ბაგა-ბაღების მშენებლობის გაგრძელებით, რის ფარგლებშიც 2018 წლის სასწავლო-სააღმზრდელო წლისთვის გაიხსნა 9 ახალი საბავშვო ბაღი, ხოლო 2 მოქმედ ბაღს დაემატა ახალი კორპუსები, 2019 წელს კი 12 ბაღის მშენებლობა იგეგმება, რომელთაგან 5 გაიხსნება 2019 წლის სექტემბრში, ხოლო 7 მომავალი წლის დასაწყისში.

ბატონი კახაბერ გვანცელაძის თქმით, სააგენტო აგრეთვე მუშაობს ავარიული ბაღების რეაბილიტაციის პროექტზე, რისთვისაც თანამშრომლობს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან. ბიუროს საექსპერტო დაკვნების საფუძველზე, რამდენიმე საბავშვო ბაგა-ბაღში შეწყდა სააღმზრდელო პროცესი, აღსაზრდელები და პერსონალი კი გადაყვანილ იქნა ახლოს მდებარე ბაღებში. სააგენტოს დირექტორის თქმით, 2019 წელს დაიწყება 12 ავარიული ბაღის შენობის დემონტაჟი და მათ ადგილას მშენებლობა. ასევე, 9 ბაღის შენობების გამაგრებითი სამუშაოები 2019 წელსვე დასრულდება.

ბატონი კახაბერ გვანცელაძის ინფორმაციით, 2018-2019 სააღმზრდელო წლის დასაწყისში ადგილების არქონის გამო, ვერ დაკმაყოფილდა 2000 განცხადება ჩარიცხვის მოთხოვნაზე და, ვინაიდან მათგან უმეტესობა საბურთალოს, ვაკის, ისანის, ჩუღურეთისა და ნაძალადევის რაიონებში ფიქსირდება, სააგენტო გეგმავს შესაძლებლობის შემთხვევაში, ამ უბნების საბავშვო ბაღებზე დააშენოს მესამე სართული, სადაც განთავსდება ადმინისტრაციული ნაწილი.

სააგენტოს დირექტორის თქმით, 2018 წელს 33 საბავშვო ბაგა-ბაღში ჩატარდა სხვადასხვა სარემონტო სამუშაოები, მათ შორის, 16 ბაღში შეიცვალა სახურავი, 22 ბაღში გაკეთდა მიმდინარე რემონტი. აგრეთვე, რამდენიმე ბაღში მოეწყო ეზოები, განახლდა ატრაქციონები და 2019 წელს თბილისის თითოული რაიონის ბაღში იქნება ატრაქციონები და კეთილმოწყობილი ეზოები.

ბატონმა კახაბერ გვანცელაძემ ყურადღება გაამახვილა საბავშვო ბაგა-ბაღებში აღსაზრდელთა რეგისტრაციის კრიტერიუმებზე და აღნიშნა, რომ გასათვალისწინებელია აღსაზრდელთა ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი, რისთვისაც განსასაზღვრია რაიონი, ან სამაჟორიტარო ოლქი.

საკითხთან დაკავშირებით, საკრებულოს წევრმა, ბატონმა დავით უთმელიძემ აღნიშნა, რომ საბავშვო ბაგა-ბაღებში ბავშვების ჩარიხვის მიზნით, დედაქალაქის ტერიტორიის ოლქებად დაყოფა პრობლემას ვერ აღმოფხვრის და მაგალითად მოიყვანა საბურთალოს რაიონი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე დიდი ოლქია თბილისში 130 000-მდე მცხოვრებლით და მხოლოდ სამი საბავშვო ბაგა-ბაღია და ბავშვები დიდი დიღმის საბავშვო ბაგა-ბაღებში ირიცხებიან. დეპუტატის თქმით, თუ მათ აღნიშნული შესაძლებლობა შეეზღუდებათ, საბურთალოს მე-5 ოლქის მცხოვრებელთა 50% ვერ მოხვდება საბავშვო ბაღში.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბავშვო ბაგა-ბაღებში აღსაზრდელთა ადგილმდებარეობის მიხედვით ჩარიცხვის საკითხი საკმაოდ კომპლექსურია და საჭიროებს მომავალში განხილვებს.

საზაფხულო ბაგა-ბაღებთან დაკავშირებით, სააგენტოს დირექტორმა აღნიშნა, დედაქალაქის მცხოვრებლებს ივლისის თვეში 40 საბავშვო ბაგა-ბაღი ემსახურება, მათზე მოთხოვნა განსაკუთრებით დიდია და აგვისტოს თვეში გაგრძელებასაც ითხოვენ.

აღსაზრდელთა კვებასთან დაკავშირებით, ბატონმა კახაბერ გვანცელაძემ განმარტა, რომ საქართველოს მთავრობამ მიიღო ტექნიკური რეგლამენტი - „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების“ დამტკიცების შესახებ 2017 წლის 30 ოქტომბრის №487 დადგენილება. 2018 წელს მენიუს 8 ახალი პროდუქტი და 68 ინგრედიენტი დაემატა, რითაც გაუმჯობესდა აღსაზრდელთა კვება.

მეთოდისტებისა და აღმზრდელთა პროფესიული გადამზადებისთვის, ბატონი კახაბერ გვანცელაძის თქმით, სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან და „მასწავლებელთა სახლთან“. თბილისის N74 საბავშვო ბაგა-ბაღში საპილოტედ დანერგილ პროექტთან „ნეიროპლასტიურობა და განათლება“ დაკავშირებით აღნიშნა, რომ სხვა საჯარო ბაღებში გავრცელების მიზნით იგეგმება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობა.

კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული საპილოტე პროგრამის ინიციატორებთან, სწორედ განათლებისა და კულტურის კომისიის წევრებთან მოხდა შეხვედრა, რის შემდეგაც მოხდა მისი დანერგვა საპილოტედ N74 ბაღში და ინიციატივის მხარდაჭერისა და პრაქტიკაში განხორციელებისთვის მადლობა გადაუხადა სააგენტოს. ასევე, ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა შესთავაზა დეპუტატებს 74-ე ბაგა-ბაღში მისვლა, პროგრამის ადგილზე გაცნობის მიზნით.

ბატონმა კახაბერმა, საკითხთან დაკავშირებით, ასევე აღნიშნა, რომ თბილისის N192 ბაღში ორგანიზაცია „კივიტასთან“ ერთად დანერგილია რამდენიმე ინკლუზიური პროექტი და შესაძლებელია მათი სხვა საბავშვო ბაგა-ბაღებში გავრცელება. მანვე დამატებით განმარტა, რომ სააგენტო საქართველოს განათლების, მეცნიერების,

კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად გეგმავს სმენადაქვეითებულ და მხედველობადაქვეითებულ ბავშვთა ხელშემწყობი პროგრამების დანერგვას ყოფილი მხედველობადაქვეითებული და სმენადაქვეითებული საბავშვო ბაგა-ბაღების ბაზაზე მათთვის პროფილური ფუნქციის დაბრუნებით.

ბატონმა კახაბერ განცელაძემ ასევე ისაუბრა საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას გეორგიკასა" და ქართულ-პოლონური პროექტის „სკოლამდელი განათლების სისტემური ცვლილებების მხარდაჭერა საქართველოში" ფარგლებში ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოსთვის 130 სახის 500-მდე საგანმანათლებლო მეთოდური მასალის გადაცემის თაობაზე, ბიბლიოთეკის მოწყობის მიზნით, რომლით სარგებლობა ნებისმიერ მეთოდისტს, აღმზრდელს თუ აღმზრდელის თანაშემწეს შეუძლია.

ბატონი კახაბერის თქმით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრთან ერთობლივი პროექტის ფარგლებში ჩატარებული კონკურსის შედეგად შეარჩია 15 საუკეთესო პროექტი. აგრეთვე, დაინერგა გარემოსდაცვითი სწავლების შემუშავებული სახელმძღვანელო. 2019 წელს, სააგენტო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურთან ერთად, იწყებს რეკრეაციული სივრცეების გაზრდას საბავშვო ბაღებში, ვინაიდან მოქმედი სტანდარტით, საავშვო ბაღების ეზოების 40% გამწვანებული უნდა იყოს.

საბავშვო ბაგა-ბაღების ავტორიზაციის სტანდარტთან დაკავშირებით, სააგენტოს ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აქტიურად მიმდნარეობს მუშაობა და მიზანშეწონილია ავტორიზაცია გავრცელდეს დედაქალაქის კერძო საბავშვო აბგა-ბაღებზეც.

თბილისის საჯარო ბაგა-ბაღებში მიმდინარე პროცესების მონიტორინგთან დაკავშირებით, ბატონმა კახაბერმა აღნიშნა, რომ შექმნილია მონიტორინგის ორეტაპიანი მექანიზმი: პირველ ეტაპზე ბაღებს ეგზავნებათ რეკომენდაციები და 2018 წელს თბილისის ყველა ბაღს მიეწოდა რეკომენდაციის პაკეტები, ხოლო მეორე ეტაპზე ხდება კონკრეტული სანქციების გატარება. მისი თქმით, პროცესი არის გამჭირვალე - გამოიყენება სამხრე კამერები, მონიტირონგის განყოფილების თანამშრომლებს აქვთ უნიფორმები და ყოველთვიურად აწარმოებენ კვლევა-მოხსენებას აღმოჩენილ დაღვევებთან დაკავშირებით.

სააგენტოს დირექტორის თქმით, საახალწლო ღონისძიებების ფარგლებში ბავშვებისთვის გადასაცემ საჩუქრებზე გამოცხადდა ტენდერი, აგრეთვე, NATO-საქართველოს არსებითი პაკეტის ჯგუფის სახელით, ახალი წლის დადგომასთან დაკავშირებით, თბილისის N115 ბაგა-ბაღს, სადაც სამხედრო მოსმსახურეების შვილებს იღებენ სკოლამდელ განათლებას, გადაეცა საგანმანათლებლო რესურსი და სათამაშო ინვენტარი.

ბატონმა კახაბერმა ყურადღება გაამახვილა საბავშო ბაგა-ბაღებში ჯანმრთელობის კონტროლზე, რაზეც სააგენტომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიასთან ერთად იმუშავა და შედეგად, სააგენტოში

მუშაობს მულტიდისციპლინარული ჯგუფი, რომელშიც შედის ექთანი (ჯანმრთელობის დაცვის კოორდინატორი), სპეც-პედაგოგი, ფსიქოლოგი, ლოგოპედი. მისი თქმით, ბაღების თანამშრომლები ვალდებულნი არიან, წარმოადგინონ ცნობები ტუბერკულოზის არქონისა და ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ.

საბავშვო ბაგა-ბაღებში უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ბატონმა კახაბერმა აღნიშნა, რომ 63 საბავშვო ბაგა-ბაღში ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ უკვე დაიწყო სახანძრო უსაფრთხოების სისტემების მონტაჟი. ბაღებში განახლდა სახანძრო კიბეები და ცეცხლმაქრი საშუალებები. აგრეთე, „ყაზტრანსგაზის" რეკომენდაციების შესაბამისად, 20-მდე საბავშვო ბაღში გაზქურები ჩანაცვლდა ელექტროქურებით. აღნიშნულ კომპანიასთან თანამშრომლობით, მიმდინარე წელს იგეგმება ბუნებრივ აირზე მომუშავე გათბობის სისტემების, პატარა და დიდი ქვაბების, შენობებს გარეთ დამონტაჟება.

სააგენტოს დირექტორის თქმით, ბაგა-ბაღებში ვიდეო-კამარების მონტაჟისთვის 2019 წლის ბიუჯეტში გამოყოფილია 300 000 ლარი და ზაფხულისთვის დასრულდება მათი განთავსება. აგრეთვე წლის განმავლობაში მოეწყო და დასრულდა თბილისის საჯარო ბაგა-ბაღების მეორე სართულის ფანჯრებზე უსაფრთხოების ბადეები.

ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიასთან დაკავშირებით, ბატონმა კახაბერმა აღნიშნა, რომ 2018 წელს გამოცხადდა კონკურსი ბაგა-ბაღებში არსებულ 615 ვაკანტურ ადგილზე და მკაცრი საკვალიფიკაციო მოთხოვნები ვრცელდებოდა განსაკუთრებით, მეთოდისტებზე, ლოგოპედებზე, ფსქოლოგებსა და აღმზრდელებზე. 2018 წელს გახსნილი 9 ახალ საბავშვო ბაგა-ბაღმა დასაქმდა 415 ადამიანი, ხოლო მიმდინარე წლის ივნისის თვეში დამატებით 350 ახალი ვაკანსი იქნება. აგრეთვე, 2019 წელს მართვის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, დაიწყება ბაღების დირექტორებისა და საქმისმწარმოებელთა გადამზადება.

სააგენტოს ინსტიტუციურ განვითარებასთან დაკავშირებით, ბატონმა კახაბერმა აღნიშნა, რომ ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო თოთოული საჯარო ბაღისთვის, ფაქტობრივად, წარმოადგენს რესურსცენტრს, რისთისაც სერვისების გაუმჯობესებისთვის, 2018 წელს მომზადდა HR სტრატეგიის სტრუქტურა; ტენდერში გამარჯვებულ კომპანია „SAI GLOBAL"-თან გაფორმებული ხელშეკრულების შედეგად შემუშავდა პერსონალის მართვის სახელმძღვანელო, შიდა აუდიტის მართვის დოკუმენტი და სააგენტოს მიენიჭა ISO 9001:2015 ხარისხის მართვის სერთიფიკატი. ბატონი კახაბერის თქმით, აღნიშნული სერტიფიკატის მქონე დაწესებულების აუდიტი სამ წელიწადში ერთხელ ხდება და სააგენტო მომავალ წელს შემოწმდება. აგრეთვე, სააგენტოში დაიუნერგა „სერვის +", რისი საშუალებითაც კონსულტანტთა ჯგუფებად დაყოფილი სააგენტოს თანამშრომლები აღსაზრდელთა მშობლებს თუ ბაღების პერსონალს უწევენ კონსულტაციას.

ბატონ კახაბერ გვანცელაძემ ასევე ისაუბრა საკოორდინაციო ორგანოს შესახებ, რომელიც დაკომპლექტებულია საბავშვო ბაგა-ბაღების ადმინისტრაციის ოცამდე ხელმძღვანელისაგან; არსებობს დირექტორთა საბჭო, რომელიც ჩართულია

გადაწყვეტილების მიღებაში. გამჭვირვაობისა და ანგარიშვალდებულების მიზნით, თითოეული საბავშვო ბაგა-ბაღის ხელმძღვანელი საქმიანობის ანგარიშს წარუდგენს აღსაზრდელთა მშობლებსა და დაინტერესებულ პირებს.

სააგენტოს დირექტორის განმარტებით, სააგენტოს 2018 წლის გეგმა შეადგენდა 122 035 800.00 ლარს, რომელიც 99.43%-ით შესრულდა. წელს სააგენტოს აქვს უპრეცედენტოდ მაღალი ბიუჯეტი - 157 მილიონი ლარი, საიდანაც 500 000 ლარი განკუთვნილია სათამაშოების განახლებისთვის.

სააგენტოს დირექტორის მიერ ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ, კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თამარ ტალიაშილმა, დეპუტატებსა და მოწვეულ სტუმრებს სთხოვა წარმოედგინათ ინიციატივები და რეკომენდაციები თბილისის სკოლამდელი აღზრდის სისტემის გაუმჯობესებისთვის.

კომისიის წევრმა, ქალბატონმა მარიკა დარჩიამ ყურადღება გაამახვილა სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვის მნიშვნელობასა და საზოგადოების ჩართულობაზე. დეპუტატმა აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია სააგენტოს საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობაში შედიოდნენ აღსაზრდელთა მშობლებიც, თუნდაც როტაციის წესით. კომისიის წევრმა ასევე დააყენა წინადადება თბილისის საბავშვო ბაღების შესახებ მშობლების მოთხრობების, სახელწოდებით - „ბაღების ამბები", შექმნასთან დაკავშირებით. ასევე, დეპუტატმა აღნიშნა, რომ მშობლების ნაწილს სურთ, დაეხმარონ ბაღებს, ფიზიკურად თუ სათამაშოებისა და სხვადასხვა სახის რესურსების გადაცემით, ამიტომ ე.წ. „ალუმნების" ჯგუფის შექმნა, რომელთა წევრები, ასევე, ჩაერთვებიან სააგენტოს საკოორდინაციო ჯგუფის მუშაობაში. ქალბატონმა მარიკამ ასევე, ხაზი გაუსვა სათამაშოების ხარისხის კონტროლს.

საკრებულოს წევრმა, ბატონმა ირაკლი ზარქუამ დადებითად შეაფასა აღნიშნული ინიციატივა. მისი თქმით, ჩართულობის თვალსაზრისით, მშობლების ბაღების საკოორდინაციო საბჭოში როტაციის წესით მონაწილეობა საინტერესო მიგნებაა, რომელიც უზრუნველყოფს ბაღების მართვის პროცესის მეტ გამჭირვალობას. დეპუტატმა ასევე, დააყენა წინადადება მოხდეს ქართული კომპანიების, განსაკუთრებით შშმ პირებით დაკომპლექტებული სოციალური საწარმოების მიერ ნაწარმი სათამაშოების ბაღებში შეტანა. დეპუტატის აზრით, აღნიშნული ინიციატივა სასარგებლოა როგორც დასაქმებულ შშმ პირებისთვის, ისე ეროვნული წარმოების მხარდაწერისათვის.

საკრებულოს წევრმა, ქალბატონმა ნინო ლაცაბიძემ დააყენა ინიციატივა სააგენტოს ცხელი ხაზის ნომრის საჯარო ბაგა-ბაღების თვალსაჩინო ადგილზე განთავსების თაობაზე, რათა მშობლებმა მარტივად მოახერხონ სააგენტოსთან კომუნიკაცია, რაც ხელს შეუწყობს მონიტორინგის პროცეს.

დეპუტატი ასევე დაინტერესდა, თუ ვისი კომპეტენციაა საბავშვო ბაგა-ბაღებში ეზოების მოწყობის სამუშაოები და რამდენი თანამშრომლისგან შედგება სააგენტოს მონიტორინგის ჯგუფი.

ქალბატონმა ნინო ლაცაბიძემ ყურადღება გაამახვილა მეთოდისტების მნიშვნელობასა და მათი გადამზადების პროცესის გაგრძელებაზე, ასევე მშობელთა მხრიდან მოთხოვნის შესაბამისად, დიდ ბაღებში, ისეთებში როგორიც არის 109-ე საბავშვო ბაგა-ბაღი, სადაც 700 აღსაზრდელია, მეთოდისტების შტატების დამატებაზე.

საკრებულოს წევრი ბატონი გიორგი ჩაკვეტაძე დაინტერესდა ფსიქოლოგების გადამზადების ერთიანი პროგრამის არსებობით და ავარიული ბაგა-ბაღების შენობების საკითხის აღმოფხვრის პერიოდით.

ბაგა-ბაღების ავარიული შენობების საკითხს გამოეხმაურა საკრებულოს წევრი, ბატონი ჯაბა ჯიშკარიანი და დაინტერესდა ბესიკის ქუჩაზე მდებარე N54 საჯარო ბაღის სარემონტო სამუშაოების დასრულების ვადით.

კომისიის წევრმა, ბატონმა ერეკლე კუხიანიძემ ყურადღება გაამახვილა ინკლუზიური პროგრამების მნიშვნელობაზე, მათ შორის, 74-ე ბაღის საპილოტე პროგრამაზე „ნეიროპლასტიურობა და განათლება". დეპუტატის თქმით, მსოფლიოში დიდი ყურადღება ეთმობა შშმ პირების პრობლემატიკას და მაგალითად დაასახელა ისრაელში აუტისტური სპექტრის მქონე ადამიანების სამხედრო საქმიანობაში ჩართულობა. ბატონი ერეკლე დაინტერესდა საპილოტე პროგრამის „ნეიროპლასტიურობისა და განათლების" მიღწეული შედეგებითა და დააყენა წინადადება მისი თბილისის მასშტაბით ყველა საბავშვო ბაგა-ბაღში დანერგვის თაობაზე.

კომისიის წევრმა, ქალბატონმა გულია გოცირიძემ დააფიქსირა საჭიროება თავის სამაჟორიტაროში, გლდანის რაიონში, მესამე ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობის დაწყების. დეპუტატმა ასევე, დადებითად შეაფასა ქართული წარმოების სათამაშოების გავრცელება თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებში, ეროვნული წარმოების ხელშეწყობის მიზნით.

კომისიის თავმჯდომარემ საბავშვო ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით განმარტა, რომ „სკოლამდელი და ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებების მოწყობის, აღჭურვისა და სამუშაო რეჟიმის სანიტარიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს №308/ნ ბრძანების კრიტერიუმების გამო ვერ ხდება საბავშვო ბაღებზე მიშენებისა და დაშენების განხორციელება, რადგან აღნიშნული სტანდარტით, ბაღების ეზოს ტერიტორია უნდა იყოს გამწვანებული. დეპუტატი დაინტერესდა პრობლემურ რაიონებში - საბურთალო, მთაწმინიდა, ჩუღურეთი, რამდენი საბავშვო ბაღი იძლევა მიშენებისა და დაშენების შესაძლებლობას.

ქალბატონი თამარ ტალიაშვილი დაინტერესდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2017 წელს დაამტკიცებული წესის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალისთვის

სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ“ დანერგვითა და შედეგებით. დეპუტატი აგრეთვე დაინტერესდა, თუ რამდენად არის მზად ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო ბაღების აღმზრდელებისთვის აღმზრდელ-პედაგოგის სტატუსის მინიჭებისთვის.

კომისიის თავმჯდომარე დაინტერესდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობით რამდენი მეთოდისტი გადამზადდა და რამდენის გადამზადება იგეგმება მომავალში.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა დადებითად შეაფასა „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრთან“ სააგენტოს თანამშრომლობა; დაინტერესდა განათლებისა და კულტურის კომისიის ინიციტივით, „სამედიცინო კორპორაცია ევექსთან“ ერთად, 2017 წელს განხორციელებული გადამზადების პროგრამის გაგრძელების შესაძლებლობით და გამოთქვა მოსაზრება პირველადი დახმარების საკითხებზე ბაღების თანამშრომელთა კვლავ გადამზადების მიზანშეწონილობის შესახებ. დეპუტატის განმარტებით, განათლებისა და კულტურის კომისიამ გასულ წლებში არაერთხელ დააყენა საჭიროება „ბავშვის ჯანსაღი განვითარების სტრატეგიის“ შექმნის, რომელიც გააერთიანებს ინკლუზიის, ნეიროპლასტიურობის, ჰიგიენის, პრევენციული ღონისძიებებისა და სხვა საკითხებს.

კომისიის თავმჯდომარემ თბილისის საჯარო ბაღებში ვიდეო კამერების განთავსებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ 2016 წელს განათლებისა და კულტურის კომისიის ინიციატივით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატს, ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის ფარგლებში თბილისის ყველა საჯარო ბაღის ადმინისტრაციის წარმომადგენლები გადამზადდენ პერსონალური მონაცემების დამუშავების, შენახვისა და გაცემის საკითხებში. დეპუტატი დაინტერესდა, გრძელდება თუ არა ახალი ბაღების პერსონალის აღნიშნულ საკითხებში გადამზადება.

საბავშვო ბაგა-ბაღებში „მეგობართა ჯგუფის“ შექმნაზე გაამახვილა ყურადღება ქალბატონმა თამარ ტალიაშილმა და აღნიშნა, რომ კომისიასა და სააგენტოს შორის საკითხზე გასულ პერიოდშიც შედგა კომუნიკაცია, რის შედეგადაც სააგენტოს ცალკეული სამართლებრივი ასპექტები უნდა განეხილა. დეპუტატმა მადლობა გადაუხადა ბატონ კახაბერ გვანცელაძეს კომისიასთან მჭიდრო კომუნიკაციისა და ცალკეული წინადადებების ეტაპობრივად გათვალისწინებისთვის.

ბატონმა კახაბერ გვანცელაძემ დადებითად შეაფასა საკოორდინაციო ჯგუფში მშობელთა ჩართვის წინადადება და განმარტა, რომ თბილისის ყველა საჯარო ბაგა-ბაღში არის სამეთვალყურეო საბჭო, სადაც მშობლებიც არიან ჩართულები. ქალბატონი მარიკა დარჩიას ინიციატივასთან დაკავშირებით ბატონმა კახაბერ გვანცელაძემ აღნიშნა, რომ სააგენტო მუშაობს ბაღის კურსდამთავრებულთა ჯგუფის შექმნაზე, თუმცა ცალკეული პრობლემების გამო კონკრეტული ნაბიჯები ვერ გადაიდგა.

ქართული წარმოების სათამაშოების შეძენასთან დაკავშირებით ბატონმა კახაბერ გვანცელაძემ განმარტა, რომ სააგენტოს ჰქონდა შეხვედრა სათამაშოების თითქმის ყველა მწარმოებელ კომპანიასთან, სადაც გაირკვა რომ მათი უმეტესობა ვერ იცავენ შესაბამის სტანდარტებს და არ აქვთ საჭირო სერტიფიკატები.

საბავშვო ბაგა-ბაღების ეზოების მოწყობასთან დაკავშირებით, ბატონმა კახაბერმა განმარტა, რომ მხოლოდ გარკვეული რაიონების გამგეობები აკეთებენ ეზოებში ასფალტის მოწყობის სამუშაოებს, ძირითადად კი სააგენტოს ბიუჯეტიდან ხდება აღნიშნული სამუშაოების დაფინანსება და ორგანიზება.

მონიტორინგის პროცესთან დაკავშრებულ კი აღნიშნა, რომ სააგენტოს მონიტორინგის ჯგუფი მხოლოდ 5 ადამიანისგან შედგება, რაც საკმარისი არ არის ოპერატიული რეაგირებისთვის, ვინაიდან მონიტორინგის განყოფილება კომპლექსურად ამოწმებს კონკრეტულ ბაღს და ერთი დღის განმავლობაში მხოლოდ ორ ბაღის შესწავლა ხდება. ამიტომ სააგენტო ცდილობს, რომ ბაღების ადმინისტრაციები ჩართონ მონიტორინგის პროცესში. ამასთან, მისი თქმით, სააგენტოში არსებობს ბაგა-ბაღების განვითარების განყოფილება, რომელიც კურირებს კვების უსაფრთხოებას, მეთოდოლოგიას და ფინანსური აღრიცხვებისა და დაგეგმარების განყოფილებას. ერთობლიობაში, სააგენტო ცდილობს, აღნიშნული ფორმით, მუდმივად აკონტროლოს თბილისის საჯარო ბაღები. თუმცა, ეფექტიანობის გაზრდისთვის, მიზანშეწონილად მიაჩნია მონიტორინგის განყოფილების თანამშრომლების დამატება.

ბაღებში დამონტაჟებულ კამერებთან დაკავშირებით ბატონმა კახაბერ გვანცელაძემ აღნიშნა, რომ მშობელთა ერთი ნაწილი მოითხოვს კამერების ონლაინ რეჟიმში მუშაობას, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორთან კომუნიკაციის შედეგად კი გაირკვა, რომ ონლაინ რეჟიმში ჩვენებისათვის საჭიროა მასში ჩარიცხულ მშობელთა 100%-იანი თანხმობა, რაც არ არსებობს.

ბატონი კახაბერი დაეთანხმა ბაგა-ბაღებში მეთოდისტების შტატების დამატების საჭიროებას.

ავარიულ ბაღებთან დაკავშირებით, ბატონი კახაბერმა აღნიშნა, რომ 100-ზე მეტი ბაღია შესამოწმებელი ავარიულობაზე და პროცესი განგრძობადია, რაც ერთ ან ორ წელიწადში ვერ დასრულდება.

სააგენტოს დირექტორმა ბატონი ჯაბა ჯიმკარიანის კითხვასთან დაკავშირებით, განმარტა, რომ გამაგრებით სამუშაოებს დაახლოებით 11 თვე დასჭირდება და ვინაიდან ბაღის შენობა თბილისის ისტორიულ ნაწილში მდებარეობს და წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს, მას მაქსიმალურად შეუნარჩუნდება პირველადი იერსახე.

სააგენტოს წარმომადგენლის თქმით, „ნეიროპლასტიურობა და განათლება“ ერთ-ერთი წარმატებული პროექტია და დაეთანხმა კომისიის თავმჯდომარის წინადადებას, საგანმანათლებლო პროგრამის ადგილზე, N74 ბაღში გაცნობის თაობაზე. მისი განმარტებით, მომავალ საღამოს ბაღელო წელს შესაძლებელი იქნება პროექტის

დაახლოებით ათ ბაღში შეტანა, რისთვისაც თანამშრომლები ზაფხულში გადამზადდებიან.

ბატონი კახაბერის განმარტებით, მიმდინარე წლის მაისის თვეში გამოცხადდება ტენდერი და ივნისის თვიდან დაიწყება კვლევა არსებულ ბაგა-ბაღებზე მიშენება-დაშენების შესაძლებლობის თაობაზე.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ თბილისის საჯარო ბაგა-ბაღების თანამშრომლეთა გადამზადებასთან დაკავშირებით, სააგენტოს წარომადგენელმა განმარტა, რომ მოცემულ მომენტში მსგავსი ტრენინგები არ ტარდება, თუმცა დაიწყება.

კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა მადლობა გადაუხადა საკრებულოს დეპუტატებს, ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს წარმომადგენელსა და მოწვეულ სტუმრებს სხდომაში მონაწილეობისა და დაყენებული წინადადებისთვის. დეპუტატის თქმით, კომისიის სამდივნო უზრუნველყოფს წინადადებებისა და ინიციატივების სააგენტოსთვის მიწოდებას. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კომისიამ ცნობად მიიღო ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ წარმოდგენილი წლიური ანგარიში გაწეული სამუშაოების შესახებ.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

კახაბერ გვანცელაძემ, მარიკა დარჩიამ, ირაკლი ზარქუამ, ნინო ლაცაბიძემ, გიორგი ჩაკვეტაძემ, ჯაბა ჯიშკარიანმა, ერეკლე კუხიანიძემ, გულია გოცირიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:
თამარ ტალიაშვილი